KA021765610856818

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-108 22 / იანვარი / 2019 წ.

ქალაქ წყალტუბოში,ჩახრუხაძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 41150.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1, N2, N3 (წყლის ავზი), N4 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონებისსაპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცებს შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებისა და „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის" უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ წყალტუბოში,ჩახრუხაძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 41150.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1, N2, N3 (წყლის ავზი), N4 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი № 29.08.32.395) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყის საპრივატიზებო თანხად განისაზღვროს 3 005 000 (სამი მილიონ ხუთი ათასი) ლარი.

2.ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 300 500 (სამასი ათას ხუთასი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

3.ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.

ბ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე არანაკლებ 110 (ას ათი) ნომრიანი საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს შექმნა (რაც შეიძლება მოიცავდეს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ სამშენებლო/ სარეკონსტრუქციო და დემონტაჟის სამუშაოებს), ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება.

გ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება.

დ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 7 თვის ვადაში, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების გამოთავისუფლების სანაცვლოდ, ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებისათვის, ამავე დანართის შესაბამისად, 13 (ცამეტი) ერთეული, არანაკლებ 750 000 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარის ღირებულების მქონე, საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, გარემონტებულ მდგომარეობაში (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) ელექტრო და ბუნებრივი აირის გაყვანილობას, სველ წერტილებს (მოწყობილი ფილებით, ხელსაბან(ებ)ით და უნიტაზ(ებ)ით).

4. მყიდველი ვალდებულია, ამ ბრძანების მესამე პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში“ წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული ამ ბრძანების მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამ ბრძანების მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადას.

5.დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

6.საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

7.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს 2) და შემდგომ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე